ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7613063

ნომერი: AR11106098

თარიღი : 01.09.2025

გაცემის თარიღი : 05.09.2025

გაცნობის თარიღი : 05.09.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცაცხვების IX შესახვევი, N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლექვთაძე პ/ნ 53001014154
- თბილისი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2025 წლის 01 სექტემბრის №AR11106098 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 01 სექტემბერს №AR11106098 განცხადებით მომართა დავით ლექვთაძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 01

აპრილის №7434206 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 01 აპრილის №7434206 ბრძანებით შეთანხმდა №01.10.18.009.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 01 აპრილიდან 2028 წლის 01 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 01 აპრილის №7434206 ბრძანებაში. კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ -3.20 ნიშნულის გეგმაზე მდებარე ინდივიდუალურ ავტოსადგომებზე მიუთითა კვადრატულობები და ითხოვს წარმოდგენილი -3.20 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილ -3.20 ნიშნულის გეგმაზე მდებარე შიდა ავტოსადგომებზე კვადრატულობები მეტობით არის მითითებული და მათზე ზომები აღარ არის დატანილი შეთანხმებული ამავე ნიშნულის გეგმის შესაბამისად. საჭიროა, ავტოსადგომებზე ფართობები მითითებულ იქნას სამსახურის 2025 წლის 01 აპრილის №7434206 ბრძანებით შეთანხმებულ -3.20 ნიშნულის გეგმაზე დატანილი ზომების (სიგრძე/სიგანე) შესაბამისად. ასევე, საჭიროა მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირდეს ავტოსადგომების გასწორებული ჯამური კვადრატულობა (სავალი ნაწილის ჩათვლით). ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ შეთანხმებულ -3.20 ნიშნულის გეგმაზე მდებარე ავტოსადგომებზე მითითებულ ზომებთან შეუსაბამო ფართობების მითითება არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად,
ვბრძანებ:
1. დაევალოს განმცხადებელს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1. დააზუსტოს მოთხოვნა შიდა ავტოსადგომების და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
1.2. წარმოადგინოს სამსახურის 2025 წლის 01 აპრილის №7434206 ბრძანებით შეთანხმებული -3.20 ნიშნულის გეგმის იდენტური ამავე ნიშნულის გეგმა გასწორებული ავტოსადგომების ფართობების დატანით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2025 წლის 01 სექტემბრის №AR11106098 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.